

რა ტიპის ნაწარმოებია ლექსიკონი სალექსიკონო სიტყვა-სტატიის სტრუქტურა და კომპონენტები

“Great cultural vehicle – the Dictionary”

Geoffrey Williams

რა ტიპის ნაწარმოებია ლექსიკონი

ლექსიკონი უაღრესად რთული, კომპლექსური ნაწარმოებია. ლექსიკონში რეგისტრირებულია ამა თუ იმ ენის სიტყვები და მათი მნიშვნელობები.

სიტყვის მნიშვნელობა კი სამყაროს შემეცნების პროცესთან არის დაკავშირებული და მისი სირთულე და მრავალწახნაგოვანება თვით შემეცნების პროცესის სირთულით არის განპირობებული.

სამყაროს შემეცნება არ არის მექანიკური, სარკისებური ასახვის პროცესი. სიტყვების მნიშვნელობებში ფიქსირდება არა სამყაროს სარკისებური ასახვის შედეგი, არამედ ამა თუ იმ ენის მატარებლების კოლექტიური წარმოდგენები საგნებზე, მოვლენებსა თუ მიმართებებზე. სამყაროს ხედვის ლინგვისტური სურათები განსხვავდება სხვადასხვა ენაში. სიტყვის მნიშვნელობებში ყველაზე ნათლად ჩანს იმ მიმართებათა ნაირსახეობა და სირთულე, რაც არსებობს ადამიანს, გარემომცველ სამყაროსა და ენას შორის. სამყაროს აღქმის უნიკალური, მხოლოდ მოცემული ენობრივი კოლექტივისათვის დამახასიათებელი სურათი ილექება მოცემული ენის სიტყვების მნიშვნელობებში და დოკუმენტირებულია ამ ენის ლექსიკონებში. ენისა და მნიშვნელობის ფენომენის სირთულე, მისი მჭიდრო კავშირი ადამიანის ცნობიერებასთან და სამყაროს შემეცნებასთან, განსაზღვრავს, ზოგადად ლექსიკოგრაფიისა და კერძოდ - ლექსიკონის სირთულეს.

სიტყვის მნიშვნელობის ზემოთ მითითებული თავისებურებიდან გამომდინარე, ორი ენის, თითქოსდა ერთი შეხედვით, იდენტური სიტყვების მნიშვნელობები არასოდეს არ ემთხვევა ერთმანეთს. ეს მით უფრო დამახასიათებელია ისეთი არამონათესავე, სისტემურად სავსებით განსხვავებული ენებისათვის, როგორცაა ქართული და ინგლისური. ინგლისური ენის რომელიმე სიტყვის სემანტიკური სტრუქტურა, შესაძლოა ქართული სიტყვის სემანტიკური სტრუქტურის ერთ ნაწილს მიესადაგოს, ხოლო მისი სხვა ნაწილები სრულიად სხვა სიტყვებს დაუკავშირდეს. ეს არის ენობრივი ნორმა, ანუ კანონზომიერება.

მაგ. ის შესიტყვებები, რასაც ქმნიან ინგლისური სიტყვები thick ან delicate, ქართულ ენაზე ადეკვატურად გადმოტანისას სრულიად სხვადასხვა ქართული სიტყვის გამოყენებას მოითხოვს:

thick book	სქელი წიგნი
thick forest	დაბურული / გაუვალი ტყე
thick population	მჭიდროდ დასახლებული მოსახლეობა

thick darkness	თვალშეუვალი / უკუნი სიბნელე
delicate taste	დახვეწილი გემოვნება
delicate mind	რაფინირებული გონება
delicate wine	ნაზი ბუკეტის მქონე ღვინო
delicate casket	ნატიფი ზარდახშა
delicate operation	ვირტუოზული ოპერაცია
delicate figure	წერწეტა / კენარი ტანი.

სწორედ ასევე, ქართული სიტყვების: ისარი, კარი, კბილი, მართავს ინგლისურ ენაზე ადეკვატურად თარგმნისათვის, სრულიად სხვადასხვა ინგლისური სიტყვების გამოყენებაა საჭირო:

ისარი 1. arrow; 2. hand (clock); pointer (compass, etc); 3. (railway) points, switch

კარი 1. door; 2. goal (football, hockey, etc); 3. section, chapter (of a book, etc)

მართავს 1. manages, directs, runs; 2. holds, organizes (event, etc); 3. drives, operates (vehicle, etc).

ჩვენი სალექციო კურსის ფარგლებში კარგად დავინახავთ, რომ სიტყვის მნიშვნელობის გამოსაკვლევად დიდი ემპირიული მასალის დამუშავებაა საჭირო, რაც შემდეგ სალექსიკონო სიტყვა-სტატიაში აისახება.

სალექსიკონო სიტყვა-სტატიის სტრუქტურა და კომპონენტები

სალექსიკონო სიტყვა-სტატია რამდენიმე ნაწილისაგან შედგება:

- . სიტყვის მართლწერა
- . სიტყვის ტრანსკრიფცია
- . სიტყვის გრამატიკული დახასიათება
- . სიტყვის სემანტიკური სტრუქტურის დადგენა, პოლისემიური მნიშვნელობების გამიჯვნა, შესიტყვებების, ფრაზების, ფრაზული ზმნების დადგენა და ა.შ.
- . საილუსტრაციო მასალის შერჩევა
- . სიტყვის კვალიფიკაციების განსაზღვრა (დროისმიერი, ადგილისმიერი, სტილისტური, დარგობრივი) და სხვა.

1. მართლწერა.

სიტყვა-სტატია იწყება სიტყვის მართლწერის აღწერით. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინგლისური ენისათვის, რომლის სიტყვებსაც ხშირად აქვთ დაწერილობის რამდენიმე ვარიანტი.

დაწერილობის ვარიანტები შეიძლება უბრალოდ მძიმით გაიმიჯნოს,

მაგ.: **anecdotic, anecdotal**

მაგრამ ამ შემთხვევაში არ ვიღებთ ინფორმაციას იმის შესახებ, თანაბრადაა გავრცელებული ვარიანტები თუ არა.

თუ ვარიანტები თანაბრადაა გავრცელებული თანამედროვე ინგლისურში, მათ შორის იწერება სიტყვა **or ან.** მაგ.:

anecdotic or anecdotal
anecdotic ან anecdotal

თუ ერთ-ერთი ვარიანტი ნაკლებადაა გავრცელებული, მის წინ იწერება სიტყვა **also აგრ. (აგრეთვე).** მაგ.:

acaricide also acaracide
acaricide აგრ. acaracide.

2. ტრანსკრიფცია.

ვინაიდან ინგლისური სიტყვის წარმოთქმა უმეტესწილად განსხვავდება გრაფიკული გამოსახულებისაგან, სიტყვა-სტატიის შემდეგი აუცილებელი კომპონენტია ტრანსკრიფცია.

თითოეულ სიტყვას ახლავს კვადრატულ ან მრგვალ ფრჩხილებში მოთავსებული ტრანსკრიფცია, რომელიც გადმოსცემს სიტყვის უღერადობას. წარმოთქმა, ისევე როგორც დაწერილობა, სიტყვას შეიძლება სხვადასხვა ჰქონდეს. ლექსიკონებში, მით უფრო დიდ ლექსიკონებში შეტანილია სიტყვის წარმოთქმის ყველაზე გავრცელებული ვარიანტები. მაგ.:

oblique [ə'bli:k, -'laɪk]
photograph ['fəʊtəgrɑ:f, -æ-]

თუკი სხვაობას ესა თუ ის დამატებითი კომპონენტი ქმნის, ტრანსკრიფციაში იგი მრგვალი ფრჩხილებით გამოიყოფა. მაგ.:

metal ['met(ə)l] აღნიშნული ტრანსკრიფცია მოიცავს ვარიანტებს:
['metəl] და ['metl].

მე-20 საუკუნის 60-იან და 70-იან წლებში გამოცემულ ლექსიკონებში, როგორც რუსეთში, ისე ევროპაში, ინგლისური ენის ტრანსკრიფციას სერიოზული ხარვეზები ჰქონდა. არ იყო დაცული ის პრინციპი, რომ ყოველ ლინგვისტურად ღირებულ ბგერას ჰქონოდა თავისი ორთოგრაფიული გამოხატულება. მოგვიანებით ეს შეცდომა გასწორდა როგორც ამერიკაში, ისე ევროპაში გამოცემულ ლექსიკონებში.

მაშასადამე, სიტყვათა ტრანსკრიფციაში თითოეულ ფონემას, ე.ი. ლინგვისტურად ღირებულ ბგერას, რომელიც სიტყვათა განსახვავებლად გამოიყენება, განსხვავებული ორთოგრაფიული ნიშანი გააჩნია.

ლექსიკონებში სიტყვის წარმოთქმის გადმოსაცემად ძირითადად გამოიყენება საერთაშორისო ფონეტიკური ასოციაციის მიერ შემუშავებული ფონეტიკური ნიშნები, კერძოდ:

ა:	Λ	აი	იჲ
ა:	Ḑ	აḐ	ეჲ
ა:	Ḑ	ეი	ჲჲ
ი:	ი	იი	იჲ
ჲ:	ჲ	ჲḐ	

და სხვა.

3. ეტიმოლოგია.

განმარტებით ლექსიკონებში, როგორც წესი, წარმოდგენილია სიტყვათა ეტიმოლოგია, რომელიც ჩვეულებრივ კვადრატულ ფრჩხილებშია მოცემული და რომელიც აღწერს სიტყვის წარმოშობას.

მაგ. დიდი ოქსფორდის ლექსიკონში წარმოდგენილია სიტყვა **head**-ის შემდეგი ეტიმოლოგია:

[Com. Teut.: OE. *hēafod* = OFris. *hāved, hāfd, hāvđ, hād*, OS. *hōZid* (LG. *höved, höfd*, MDu. *hōve t(d)*, Du. *hoofd*), OHG. *houbit, haubit* (MHG. *haubet*, G. *haupt*), ON. *haufuð*, later *hofuð* (Sw. *hufvud*, Da. *hoved*), Goth. *haubip*:—OTeut. **hauZud-*, *-ido* (with suffix ablaut). Notwithstanding a close consonant correspondence with L. *caput, capit-*, the difference of the root vowel makes it very difficult to identify the words, or to refer them to a common root. Some refer the Teutonic word to an ablaut stem *heuZ-*, *hauZ-*, *huZ-*, whence OHG. *hūba*, Ger. *haube*, OE. *hūfe*, head-covering, cap. The phonetic development of the word in Eng. has been *hēafod, hēved, hēvd, hēd, hed* ('*hɛ:əvəd*, '*hɛ:vəd, hɛ:vəd, hɛ:d, hɛd*); in Sc. (*hɛ:d, hɛ:d, hɪ:d, hid*). In some dialects a diphthongal ('*hɛ:əd*) has developed as ('*hɪəd, hɪ'ɛd, hjɛd, jɛd*).]

hand

[Com. Teut.: OE. *hand, hond*, fem. *u*-stem, pl. *-a*, = OFris. *hand, hond* (pl. *honda*), OS. *hand* (pl. *hendī*), OHG. *hant* (pl. *henti*), ON. *hond* (genit. *handar*, pl. *hendr*), Goth. *handus* (pl. *handjus*). Regarded by some as belonging to Goth. *-hinþan*, pa. pple. *-hunþans* to seize; but this is doubtful. The original OE. pl. *handa*, ME. *hande*, was (like other plurals in *-e*), superseded in ME. by *handen*, and this eventually by *handes, hands*. Northern Eng. had in 14–15th c. an umlaut-plural *hend* from Norse.]

ეს ეტიმოლოგიები ამომწურავია, ვინაიდან ისინი ოქსფორდის ოცტომეული ლექსიკონიდანაა ამოღებული. სხვა ლექსიკონებში ეს ინფორმაცია უფრო შეკვეცილი იქნება, მაგრამ ეტიმოლოგია მნიშვნელოვანია სიტყვის წარმომავლობის შესახებ ინფორმაციის მისაღებად.

4. სიტყვის გრამატიკული დახასიათება.

სიტყვა-სტატიის შემდეგი მნიშვნელოვანი კომპონენტია სიტყვის გრამატიკული დახასიათება. კერძოდ, ნაჩვენებია, რომელი მეტყველების ნაწილია აღწერილი სალექსიკონო სტატიაში (n – noun არსებითი სახელი; v – verb ზმნა და სხვა). შემდეგ, ყოველი მეტყველების ნაწილს ერთვის სათანადო გრამატიკული დახასიათება.

4.1. არსებითი სახელი.

1) არსებით სახელთან ფრჩხილებში მიეთითება:

ა) არაწესიერი წარმოების მრავლობითი რიცხვის ფორმები. მაგ.:

wife [waɪf] *n* (*pl* wives)...

man [mæn] *n* (*pl* men) ...

ბ) უცხო სიტყვათა მრავლობითი რიცხვის ფორმები. მაგ.:

phenomenon [fɪ'nomɪnən] *n* (*pl* -mena)...

გ) იმ არსებით სახელთა მრავლობითი რიცხვის ფორმები, რომლებიც ი-ზე მთავრდება. მაგ.:

potato [pəʊ'teɪtəʊ] *n* (*pl* -oes [-əʊz])...

2) თუ არსებითი სახელი მრავლობით რიცხვში ფორმას არ იცვლის, ეს ფრჩხილებში მიეთითება შემდეგნაირად:

sheep [ʃi:p] *n* (*pl* ფორმაუც)...

3) რთულ არსებით სახელებთან ფრჩხილებში მიეთითება იმ კომპონენტის მრავლობითი რიცხვის ფორმა, რომელსაც დაერთვის მრავლობითი რიცხვის ნიშანი, ან რომელიც იცვლის ფუძისეულ ხმოვანს. მაგ.:

mother-in-law ['mʌðərɪnlɔ:] *n* (*pl* mothers- ['mʌðəz-])...

Manxman ['mæŋksmən] *n* (*pl* - men [-mən])...

ზემოთ მითითებული ფორმებიდან ცალკე სალექსიკონო სტატიად, თავის ადგილას ანბანის მიხედვით, გამოტანილია ა) პუნქტში ჩამოთვლილი ფორმები, ხოლო ბ) პუნქტიდან ცალკე გამოტანილია მხოლოდ ლათინური სიტყვების მრავლობითი რიცხვის ფორმები. ამ ფორმებს ახლავს სათანადო მითითება ძირეულ ფორმაზე. მაგ.:

wives [waɪvz] wife-*ის pl.*

phenomena [fɪ'nomɪnə] phenomenon-*ის pl.*

4) თუ არსებითი სახელი ერთ-ერთი მნიშვნელობით იხმარება მხოლოდ მრავლობით რიცხვში, აღნიშნულ მნიშვნელობასთან მითითებულია **pl.** მაგ.:

feature ['fi:tʃə(r)] *n* **1. ... 4.** *ჩვეულ. pl* სახე, სახის გამომეტყველება.

5) თუ მრავლობითი რიცხვის ფორმა მთლიანად ლექსიკალიზებულია, ასეთ შემთხვევაში იგი გამოიყოფა ცალკე სალექსიკონო ერთეულად. მაგ.:

colours ['kɒləz] *n* **1.** *სამხ. დროშა...*

6) თუ არსებით სახელს ზმნა ოდენ მრავლობითში ან ოდენ მხოლოდობითში შეესაბამება, შესაბამისად მიეთითება:

bifocals [(')baɪ'fəʊkəlz] *n* *დაირთავს ზმნას მრავლობით რიცხვში*

7) თუ არსებითი სახელი იხამებს ზმნას როგორც მხოლოდობით, ისე მრავლობით რიცხვში, შესაბამისად მიეთითება:

works [wɜ:kz] *დაირთავს ზმნას მხოლოდობით და მრავლობით რიცხვში*

8) თუ არსებითი სახელი ამა თუ იმ მნიშვნელობით მხოლოდ არტიკლთან ერთად იხმარება, ფრჩხილებში შესაბამისად მიეთითება განსაზღვრული ან განუსაზღვრელი არტიკლი. მაგ.:

blue [blu:, blju:] *n* ... **4.** (the ~) ცა, ზეცა.

4.2. ზედსართავი სახელი.

1) ზედსართავ სახელებს ფრჩხილებში მიეთითებათ არაწესიერი წარმოების ხარისხის ფორმები. შედარებითი და აღმატებითი ხარისხის ფორმები წერტილ-მძიმით იმიჯნება. მაგ.:

bad [bæd] *a* (worse; worst)...

2) თუ შედარებითი და აღმატებითი ხარისხის ფორმებს რამდენიმე ვარიანტი აქვს, ისინი ერთმანეთს მძიმით ემიჯნება. მაგ.:

far [fɑ:(r)] *a* (farther, further; farthest, furthest)

3) აღნიშნული ხარისხის ფორმები გამოტანილია ცალკე სალექსიკონო ერთეულებად თავის ადგილას ანბანის მიხედვით, სათანადო მითითებებით ძირეულ ფორმაზე. მაგ.:

worse [wɜːs] *a* **1. bad-*ობ* compar.**

4) თუ ზედსართავი სახელი ამა თუ იმ მნიშვნელობით წინადადებაში მხოლოდ პრედიკატივის ფუნქციას ასრულებს, ეს აღინიშნება აბრევიატურით **predic** (predicative): მაგ.:

afraid [ə'freɪd] *predic a ...*

4.3. ზმნიზედა.

1) ზმნისართებს ფრჩხილებში მიეთითებათ არაწესიერი წარმოების ხარისხის ფორმები. შედარებითი და აღმატებითი ხარისხის ფორმები წერტილ-მძიმით იმიჯნება. მაგ.:

well [wɛl] *adv* (better; best)...

2) თუ შედარებითი და აღმატებითი ხარისხის ფორმებს რამდენიმე ვარიანტი აქვს, ისინი ერთმანეთისაგან მძიმით გამოიყოფა. მაგ.:

far [fɑː(r)] *adv* (farther, further; farthest, furthest).

3) აღნიშნული ხარისხის ფორმები გამოტანილია ცალკე სალექსიკონო ერთეულებად თავის ადგილას ანბანის მიხედვით, სათანადო მითითებებით ძირეულ ფორმაზე. მაგ.:

better ['betə(r)] *adv well-ობ compar.*

4.4. ზმნა.

1) ზმნას ფრჩხილებში მიეთითება არაწესიერი წარმოების ნამყო განუსაზღვრელისა და ნამყო დროის მიმღეობის ფორმები. ეს ფორმები ერთმანეთისაგან წერტილ-მძიმით იმიჯნება. მაგ.:

go [gəʊ] *v* (went; gone)...

თუ ნამყო განუსაზღვრელისა და ნამყოს მიმღეობის ფორმები ერთმანეთს ემთხვევა, ფრჩხილებში მხოლოდ ერთი ფორმაა მოყვანილი. მაგ.:

shine [ʃaɪn] *v* (shone)

თუ ნამყო განუსაზღვრელისა და ნამყოს მიმღეობის ფორმებს რამდენიმე ვარიანტი აქვს, ისინი ერთმანეთისაგან მძიმით იმიჯნება. მაგ.:

cleave [kli:v] *v* (clove, cleft, cleaved, clave; cloven, cleft, cleaved, clove).

რიგ შემთხვევაში ფრჩხილებში მოცემულია ნამყო განუსაზღვრელისა და ნამყოს მიმღეობის არქაული, პოეტური, დიალექტური და ამერიკული ფორმები. მაგ.:

to get [gɛt] *v* (got; *ამერ., არქ. p.p.* აგრ. gotten)...

არაწესიერი წარმოების ნამყო სრულისა და ნამყოს მიმღეობის ფორმები გამოტანილია ცალკე სალექსიკონო ერთეულად თავის ადგილას ანბანის მიხედვით, სათანადო მითითებით ძირეულ ფორმაზე. მაგ.:

went [went] *go-ობ past*

gotten ['gɒt(ə)n] *ამერ., არქ. get-ობ p.p.*

ცალკე სალექსიკონო ერთეულადაა გამოტანილი თავის ადგილას ანბანის მიხედვით to be, to have, to do, აგრეთვე მოდალური ზმნების ყველა ფორმა სათანადო მითითებით ძირეულ ფორმაზე. მაგ.:

am [æm, əm, m] ზმნა *to be-ს აწმყო დროის I პ. მხ. რ.*

ეს ფორმები მითითებულია ზმნის ძირითად ფორმასთანაც. მაგ.:

be [biː, bi] *v* (*მხ. რ. was, მრ. რ. were; been; აწმყო დრო I პ. მხ. რ. am,*

III პ. მხ. რ. is, II პ. მხ. რ. და I, II, III პ. მრ. რ. are; არქ. II პ. მხ. რ. აწმყო დრო art.)

2) თუ ზმნის ერთ-ერთი მნიშვნელობა მუდამ წინდებულთან ან წინდებულებთან იხმარება, სათანადო მნიშვნელობასთან ფრჩხილებში მიეთითება წინდებულები.

account [ə'kaunt] *v* **1.** (for) ...

3) თუ ზმნა შეიძლება იხმარებოდეს როგორც ზმნისართულ ნაწილაკთან ერთად, ისე მის გარეშეც, ეს ფრჩხილებში შემდეგნაირად არის მითითებული:

besom [bi:zəm] *v* დაგვა (ავრ. ~ away, ~ out).

4) თუ ზმნა ერთ-ერთი მნიშვნელობით უპირატესად ამა თუ იმ ფორმით იხმარება (მაგ.: ვნებითი, ნამყო მიმღეობა და სხვა), მოცემულ მნიშვნელობასთან შესაბამისად მიეთითება: *უპირატ.* *pass*, *ჩვეულ pass*, *ბშ. p.p.* და *ა.შ.*

4.5. ნაცვალსახელი.

1) ნაცვალსახელთან, გრამატიკული კატეგორიის კვალიფიკაციის გარდა, მიეთითება ნაცვალსახელის ჯგუფი (*pers*, *poss* და *სხვა*). პირის ნაცვალსახელთან გრამატიკული კვალიფიკაციის შემდეგ ფრჩხილებში მიეთითება ობიექტური ბრუნვის ფორმაც. მაგ.:

he [hi:, i:, hi, i] *pers pron* (him) **1.** ...

2) ობიექტური ბრუნვის ფორმები გამოტანილია ცალკე სალექსიკონო ერთეულებად თავის ადგილას ანბანის მიხედვით, სათანადო მითითებით ძირეულ ფორმაზე. მაგ.:

him [him, im] *pers pron* **1.** *he-ის* *obj.*

3) კუთვნილებით ნაცვალსახელს კი ფრჩხილებში მიეთითება აბსოლუტური ფორმა. მაგ.:

my [maɪ] *poss pron* (mine)

4) კუთვნილებითი ნაცვალსახელის აბსოლუტური ფორმა გამოტანილია ცალკე სალექსიკონო ერთეულად თავის ადგილას ანბანის მიხედვით, შესაბამისი მითითებით ძირეულ ფორმაზე. მაგ.:

mine [maɪn] *poss pron* **1.** *my-ის* *abs.*

5. სხვა კვალიფიკაციები.

გრამატიკული კვალიფიკაციების გარდა, ინგლისური ენის ლექსიკის ერთ ნაწილს, რომელსაც შეზღუდული ლექსიკური მნიშვნელობა აქვს და ნებისმიერ კონტექსტში არ იხმარება, ახლავს სხვა კვალიფიკაციებიც – ძირითადად, ოთხი სახისა:

- 1) დროისმიერი კვალიფიკაციები (temporal labels);
- 2) ადგილობრივი კვალიფიკაციები (regional labels);
- 3) სტილისტიკური კვალიფიკაციები (stylistic labels);
- 4) დარგობრივი კვალიფიკაციები (subject labels).

5.1. დროისმიერი კვალიფიკაციები.

ყველაზე ტრადიციული და გავრცელებული დროისმიერი კვალიფიკაციებია: მოძველებული და არქაული. დროისმიერი კვალიფიკაცია **მოძველებული**, **მოძვ.** (**obsolete**, **obs.**) მიუთითებს, რომ მოძველებული სიტყვის ხმარება 1755 წლის შემდეგ არ არის რეგისტრირებული და არც არის მოსალოდნელი. კვალიფიკაცია **მოძველებული** არის სიტყვის კვალიფიკაცია და არა იმ საგნის ან მოვლენისა, რომელიც მოცემული სიტყვითაა აღნიშნული.

amove [ə'mu:v] *v* *მოძვ.* აღელვება ('ა'აღელვებს), აგზნება.

amtman ['ɑ:mtmən] *n* (*pl* -men [-mən]) **1.** მოძვ. სასამართლოს ბოქაული; **2.** ამტმანი (ადმინისტრაციული ერთეულის მმართველი სკანდინავიის ქვეყნებსა და ნიდერლანდებში).

angelize ['eɪndʒəlaɪz] *v* მოძვ. წმიდათა თანა შერაცხვა (შერაცხავს).

apartness [ə'pɑ:tɪnɪs] *n* მოძვ. 1) დაშორება, სიმორე, დაშორებულობა; 2) განმარტოებულობა, განდგომილება, განცალკევებულობა.

apass [ə'pɑ:s] *v* მოძვ. გვერდზე ჩავლა (ჩაივლის).

დროისმიერი კვალიფიკაცია **არქაული, არქ. (archaic, arch.)** მიუთითებს, რომ მოცემული სიტყვა იხმარება 1755 წლის შემდეგ, მაგრამ დღეს-დღეობით შემორჩენილია მხოლოდ თითო-ორი ან სპეციალურ კონტექსტებში.

დროისმიერი კვალიფიკაცია **არქაული** ასევე სიტყვის კვალიფიკაციაა და არა იმ საგნის ან მოვლენისა, რომელიც მოცემული სიტყვითაა აღნიშნული.

abase [ə'beɪs] *v* **1.** არქ. დახრა, დაღუნვა; ~ the eye თვალის დახრა; **2.** დაქვეითება ('და'აქვეითებს), ჩამოქვეითება (სამსახურებრივი და მისთ.); **3.** დამცირება ('და'ამცირებს); დაკნინება, დამდაბლება.

abidance [ə'baɪdəns] *n* **1.** რისამე დაცვა, შესრულება; დამორჩილება(რისამე); ~ by the rules წესების დაცვა; **2.** არქ. ყოფნა, ცხოვრება.

abridge [ə'brɪdʒ] *v* **1.** 1) არქ. (of) ჩამორთმევა ('ჩამო'ართმევს) უფლებისა და სხვ.; ~ a man of his rights ადამიანისათვის მისი უფლებების ჩამორთმევა; 2) შეზღუდვა ('შე'ზღუდავს) უფლებისა, პრივილეგიისა და მისთ.

accost [ə'kɒst] *n* არქ. მისალმება.

amene [ə'mi:n] *a* არქ. სასიამოვნო, საამური.

დროისმიერი კვალიფიკაციების მითითება ლექსიკონში აუცილებელია, მაგრამ სხვადასხვა ლექსიკონი ამ საკითხს სხვადასხვანაირად უდგება. ზოგი ლექსიკონი არ მიჯნავს მოძველებულს და არქაულს და იყენებს მხოლოდ კვალიფიკაციას **მოძველებული**. არქაულ სიტყვებთან ხშირად გვხვდება სტილისტური კვალიფიკაციები: **პოეტური, ამაღლებული, ზოგჯერ წიგნური** და ა.შ.

თანამედროვე სასწავლო ტიპის ლექსიკონები ხშირად მიმართავენ დროისმიერ კვალიფიკაციებს: **old use, old-fashioned** და მისთ.

5.2. ადგილისმიერი კვალიფიკაციები.

ინგლისური ენის ლექსიკონებში ასევე მეტად მნიშვნელოვანია ადგილისმიერი კვალიფიკაციების მითითება. უპირველეს ყოვლისა, როგორც ცნობილია, არსებობს ინგლისური ენის ოთხი უმთავრესი ვარიანტი (Varieties of English) – ბრიტანული, ამერიკული, ავსტრალიური და ახალი ზელანდიური ვარიანტები. ეს გახლავთ ოთხი დიდი სახელმწიფო, სადაც ინგლისური ენა ერთადერთი სახელმწიფო ენაა. ასევე მნიშვნელოვანია კანადური და სამხრეთ-აფრიკული ვარიანტები, ვინაიდან კანადაში და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ინგლისური ერთ-ერთი სახელმწიფო ენაა. შესაბამისად, ლექსიკონებში გვხვდება კვალიფიკაციები:

ბრიტანული ინგლისური (British English);

ამერიკული ინგლისური (American English);

ავსტრალიური ინგლისური (Australian English);

ახალი ზელანდიური ინგლისური (New Zealand English);

კანადური ინგლისური (Canadian English)

და სხვა.

ასევე აღსანიშნავია, რომ ბრიტანეთის იმპერიის კოლონიალური პოლიტიკის შედეგად ინგლისურ ენაში შემოსულია დიდი რაოდენობით სიტყვები მსოფლიოს სხვადასხვა ხალხთა ენებიდან, რასაც ცხადია სათანადო მითითება სჭირდება. ძველი ინგლისური ლექსიკა დაახლოებით 30 000 სიტყვისაგან შედგებოდა. თანამედროვე ინგლისური ენის დიდი ლექსიკონები ნახევარ მილიონზე მეტ სიტყვა-სტატიას შეიცავს. ლექსიკის ასეთი დიდი ზრდა ნასესხობის ხარჯზეც მოხდა, რაც ნაწილობრივ სიტყვათა ეტიმოლოგიაშია ასახული, ნაწილობრივ კი ადგილისმიერ კვალიფიკაციებში.

5.3. სტილისტიკური კვალიფიკაციები.

როგორც ცნობილია, ენის ლექსიკის ერთი ნაწილი სტილისტურად შეფერილია. არის სიტყვები, რომლებიც მხოლოდ სასაუბრო მეტყველებისთვისაა დამახასიათებელი, მეორე ნაწილი მხოლოდ წიგნური სტილისთვისაა მისაღები; არსებობს უხეში, ვულგარული, სლენგური სიტყვები, რომელთა ხმარება მხოლოდ შეზღუდულია და თუ არა სათანადო კვალიფიკაცია ასეთი ლექსიკის არასათანადო ხმარებით ადამიანი შეიძლება უხერხულ მდგომარეობაშიც აღმოჩნდეს. არსებობს მაღალფარდოვანი სიტყვები, აგდებითი, კიცხვითი მნიშვნელობის მქონე სიტყვები და ა.შ. ყველაზე გავრცელებული სტილისტური კვალიფიკაციებია:

- წიგნური (bookish, formal);
- სასაუბრო (colloquial, informal);
- სლენგი (slang);
- ვულგარული (vulgar, obscene);
- აგდებითი (derogatory);
- დამცრობითი (pejorative);
- კიცხვითი (contemptuous);
- ამაღლებული (elevated);
- ხუმრობითი (jocular)
- და ა.შ.

eschew [ɪs'tʃu:] *v* *ამაღლ.* **1.** 1) თავის არიდება (აარიდებს), თავიდან აცილება (*საფრთხისა, უსიამოვნებისა და ა.შ.*); 2) რაიმესგან თავის შეკავება ('შე'იკავებს) / რაიმეზე უარის თქმა; **2.** *მოძვ.* პატიმრობიდან და ა.შ. გაქცევა (გააქცევს; გაიქცევა).

eternal I [i(:)'tɜ:nl] *n* *ამაღლ.* **1.** (the ~) მარადიული რამ; **2.** (the E.) ღმერთი; **3.** *მოძვ.* მარადისობა; from ~ უსსოვარი დროიდან, ოდიდან.

everywhen ['evriwɛn] *adv* *ამაღლ.* ყოველთვის, მუდამ.

hearken ['hɑ:k(ə)n] *v* *პოეტ.,* *ამაღლ.* (to) 1) მოსმენა ('მო'ისმენს, 'მო'უსმენს), ყურის დაგდება;

heaven-sent ['hevnsent] *a* 1) *ამაღლ.* ზეგარდმოვლენილი, ღვთით / ზეცით მოვლენილი;

Hippocrene [ˌhɪpə(ʊ)'kri:ni(:)] *n* **1.** *ბერძ. მით.* ჰიპოკრენე (*წყარო ჰელიკონის მწვერვალზე*); **2.** *პოეტ.* შთაგონების წყარო.

hyaline I ['haɪəlɪn] *n* **1.** *პოეტ.* 1) ზღვის სარკისებრი ზედაპირი; 2) გამჭვირვალე / მოწმენდილი ცა;

arse [ɑ:s] *n* *ვულგ.* უკანალი, საჯდომი, გავა.

beef-head ['bi:fhed] *n* *ვულგ.* რეგენი, ყყყჩი.

belch II [beltʃ] *v* **1.** 1) *ვულგ.* დაბოყინება ('და'აბოყინებს); 2) გულის რევა (გული 'ა'ერევა);

bint [bɪnt] *n* *ვულგ.* გოგო, გომბიო, დედაკაცი.

bog-house ['bɒghaus] *n* *ვულგ.* საპირფარეშო, ფეხისადგილი.

fat-guts ['fætɡʌts] *n* *ვულგ.* მსუქანი ადამიანი.

feeb ['fi:b] *n* (feeble-minded-ის შემოკლ.) *სლ.* გონებაჩლუნგი, სულები ადამიანი; იდიოტი.
feebee ან **feeby** ['fi:bi(:)] *n* *ამერ.* *სლ.* გამოძიების ფედერალური ბიუროს თანამშრომელი.
fingerer ['fɪŋgəə] *n* *სლ.* ქურდი; მექრთამე.
flesh presser ['fleʃ,presə] *n* *სლ.* პოლიტიკოსი.
flunk(-)out ['flʌŋk(')aʊt] *n* *უნივ.* *სლ.* გარიცხული სტუდენტი.

forebodement [fə:'bɔ:dɪmənt] *n* *წიგნ.* ცუდი / ავი წინათგრძნობა.
foreboding [fə:'bɔ:diŋ] *n* *წიგნ.* **1.** ავის / უბედურების მომასწავებელი ნიშანი;
forementioned ['fə:'men](ə)nd] *a* *წიგნ.* ზემოხსენებული, ზემოთქმული.
formful ['fɔ:mfʊl] *a* *წიგნ.* 1) მრავალგვარი, მრავალფეროვანი; 2) მოხდენილი / მიმზიდველი აღნაგობის / სხეულის მქონე; 3) მდიდარი წარმოსახვის უნარის მქონე.
gainsay I [geɪn'seɪ] *n* *წიგნ.* წინააღმდეგობა.
gaudery ['gɔ:deəri] *n* *წიგნ.* 1) მეტისმეტი მორთულობა / გაწყობილობა; 2) მეტისმეტად მორთული / გაწყობილი / მყვირალა ტანსაცმელი; მყვირალა სამკაული / სამშვენისი.
geoponic [ˌdʒi:(ə)('s)pɒnɪk] *a* **1.** წიგნ. აგრონომიული, სამიწათმოქმედო; **2.** ხუმრ. სოფლური შესახედაობის / მანერების მქონე; სოფლური, სოფლისა.
gig-lamped ['gɪg' læm(p)t] *a* ხუმრ. სათვალისანი / სათვალეს რომ ატარებს; ~ young man სათვალისანი ახალგაზრდა კაცი.
golf-widow ['gɒlf'wɪdəʊ] *n* ხუმრ. „გოლფის მოთამაშის ქვრივი“, ქალი, რომლის ქმარიც დღენიადაგ გოლფის სათამაშო მოედანზეა.

handshaker ['hænd,ʃeɪkə] *n* აგდებ. ვინც ხალხის ფართო მასებთან ურთიერთობით ცდილობს პოლიტიკური დივიდენდების მოპოვებას; პოპულისტი.
highbrow I ['haɪbrəʊ] *n* იშვ. აგდებ. ინტელექტუალი, ერუდიტი.
hill-billy I ['hɪl,bɪli] *n* *ამერ.* საუბ. აგდებ. სოფლელი, გაუთლელი ადამიანი (განსაკ. სამხრეთ-აღმოსავლეთი შტატების მთიანი რაიონების მკვიდრი).

5.4. დარგობრივი კვალიფიკაციები.

ლექსიკონებში, როგორც წესი წარმოდგენილია დარგობრივი ტერმინოლოგია, მაგ.: ზოოლოგიური, ბიოლოგიური, მათემატიკური, იურიდიული, ტექნიკური, კომპიუტერული, გეოგრაფიული, გეოლოგიური და სხვა. ლექსიკონის მასშტაბებიდან და ლექსიკოგრაფიული პრინციპებიდან გამომდინარე, დარგობრივი ტერმინოლოგია შეიძლება წარმოდგენილი იყოს დიდი რაოდენობით, ან შედარებით ნაკლებად, მაგრამ დარგობრივი ტერმინოლოგიის წარმოდგენას ვერც ერთი ლექსიკონი ვერ აარიდებს თავს, ვინაიდან არ შეიძლება ლექსიკონში არ შეიტანო მცენარეებისა და ცხოველების სახელები, მინერალებისა და ქიმიური ნივთიერებების სახელები, მნიშვნელოვანი იურიდიული ტერმინები და მრავალი სხვა.

hydracid [haɪ'dræɪsɪd] *n* ქიმ. წყალბადმჟავა, უჟანგბადო მჟავა.
hypersonic ['haɪpə(:)'sɒnɪk] *a* ფიზ. ჰიპერბერითი.
hyssop ['hɪsəp] *n* ბოტ. უსუბი (*Hyssopus*).
iguana [ɪ'gwɑ:nə] *n* ზოოლ. იგუანა (*Iguanidae*).
infinitesimal I [ɪn'fɪnɪ'tesɪm(ə)l] *n* მათ. უსასრულოდ მცირე სიდიდე.
inheritance-tax [ɪn'hɛrɪt(ə)ns,tæks] *n* იურ. მემკვიდრეობის / სამემკვიდრეო გადასახადი.
jack-engine ['dʒæk,ɛn(d)ʒɪn] *n* ტექ. დამხმარე ძრავა.

kneeling position ['ni:lɪŋpə'zɪ(ə)n] *n* **სამხ.** მდგომარეობა ჩოქელა სროლისათვის.

lanyard ['lænjɑ:d] *n* **1.** ზღვ. გვარლის ტალრეპი / საჭიმარი; **2.** სამხ. სასხლეტი ზონარი (*ქვემეხისა*);

3. 1) ზღვ. კისერზე ჩამოსაკიდებელი თასმა დანის და მისთ. სატარებლად; 2) სპეც. მხაროდლივ სატარებელი მაგარი თასმა, რომელზედაც პისტოლეტია მიმაგრებული.

lift-off ['lɪft(')ɑ:(:)] *n* 1) ავ. ვერტიკალური აფრენა (*შეუღმფრენისა და ა.შ.*); აფრენა, მიწას მოწყვეტა; 2) მოწყვეტის მომენტი (*რაკეტისა გასაშვები დანადგარიდან*).

loculus ['lɒkjʊləs] *n* (*pl* -li) **ბიოლ.** ღრუ, ფოსო; წილი; კამერა.

6. საილუსტრაციო მასალა.

ნებისმიერი ლექსიკონისათვის, როგორც მოცულობისა და დანიშნულებისაც არ უნდა იყოს იგი, უმნიშვნელოვანესია საილუსტრაციო მასალა. ყოველი სიტყვის, პოლისემიური სიტყვის ცალკეული მნიშვნელობების უკეთ წარმოსაჩენად აუცილებელია კონტექსტის მითითება, რომელიც მკითხველს ეხმარება როგორც მნიშვნელობის, ისე სიტყვის ხმარების სწორად გაგებასა და შერჩევაში.

დიდი ოქსფორდი სიტყვა **heart**-ის ერთ-ერთ მნიშვნელობად გამოყოფს მნიშვნელობას "მკერდი".

საილუსტრაციო მასალა კი ამ მნიშვნელობას უკეთ წარმოაჩენს.

3. transf. a. The region of the heart; breast, bosom.

c1450 Holland *Howlat* 477 He+it hyng About his hals full hende, and on his awne hart. **1535** Coverd. *Exod* . xxviii. 29 Thus shall Aaron beare the names in ye brestlapp of iudgment vpon his hert. **1590** Spenser *F. Q* . ii. vi. 26 He+ever held his hand upon his hart. **1592** Shakes. *Rom. & Jul.* iii. v. 192 Lay hand on heart, adui se. **1611** Bible *Exod.* xxviii. 30 The Urim and the Thummim+shall bee vpon Aarons heart, when he goeth i n before the Lord. **1717** Pope *Eloisa* 123 Let me+Pant on thy lip, and to thy heart be press'd. **1887** H. S. Cunningham *Ceruleans* II. 226 He pressed her to his heart.

მაგალითები დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონიდან:

overwhelm [əʊvə'(h)welm] *v* **1.** დაუფლება ('და'ეუფლება), შეპყრობა; *ძლიერი ემოციით და მისთ.* მოცვა; to be ~ed by grief *მწუხარებამ შეიპყრო*; unbearable melancholy ~ed him *აუტანელმა მელანქოლიამ მოიცვა*; he was ~ed by the death of his loving mother *შეძრული იყო მოსიყვარულე დედის გარდაცვალებით*; the beauty of the landscape ~ed me *პეიზაჟის სილამაზემ დამატყვევა*;

infallible... **3.** გარდა[ა]უვალი, უეჭველი, უტყუარი, უდავო, უცილობელი; ~ rule *გარდაუვალი კანონი*; ~ proof *უდავო მტკიცება*; ~ success *უცილობელი წარმატება*; his accent is an almost ~ index of his family background and education *მისი გამოთქმა მისი წარმომავლობის და განათლების უტყუარი მაჩვენებელია*.

სიტყვა-სტატიაში წარმოდგენილი მნიშვნელობების ეკვივალენტები, მაგალითებით უფრო თვალნათელი, გასაგები და ხელშესახები ხდება.

საილუსტრაციო მასალას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ინგლისური, არამედ ნებისმიერი ენის ლექსიკონისათვის. სწორედ საილუსტრაციო ფრაზებსა და წინადადებებში იხსნება ბოლომდე სიტყვის მნიშვნელობა.

მაგ. ქართული ზედსართავი სახელი **ფაქიზი**.

1. დახვეწილი, ნატიფი. ნათელი და ფაქიზი ადამიანები. ფაქიზი სულის ადამიანები. ფაქიზი სულიერება. ფაქიზი ხმა.

2. სპეტაკი, უმწიკვლო. ფაქიზი გრძნობა. ფაქიზი დამოკიდებულება.

3. საფრთხილო; დელიკატური, საჩოთირო. ეს საკმაოდ ძნელი და თავისებურად ფაქიზი საკითხია. ვინაიდან ფაქიზი საქმეა, გადამწყვეტი სიტყვა დიპლომატებმა უნდა თქვან. ფრთხილი და ფაქიზი თემაა.

4. აზიზი, სათუთი, ნებიერი. ფაქიზი მჭამელია. ფაქიზი და დვილად წყენია.

5. ფრთხილი; საგულდაგულო. ფაქიზი მიდგომა. ფაქიზი ანალიზი.

6. ძალიან სუფთა, წმინდა. ვალიკო საბოლოოდ გამოეთხოვა თავის ფაქიზ ტანსაცმელს.

7. ომონიმია

ომონიმები ეწოდება მსგავსი დაწერილობის, მაგრამ სრულიად განსხვავებული ლექსიკური მნიშვნელობის მქონე სიტყვებს.

მაგ. ქართული - ხელი, როგორც კიდური და

- ხელი, როგორც გიჟი (გახელებული ადამიანი).

ასევე, ქართული - ბარი, როგორც ინსტრუმენტი და

- ბარი, როგორც ვაკე ადგილი (მთა და ბარი).

ომონიმია ფართოდაა გავრცელებული ინგლისურ ენაში. ომონიმური ფორმები ლექსიკონში, ჩვეულებრივ, ცალ-ცალკე სიტყვა-სტატიებადაა წარმოდგენილი და მარჯვენა ზედა კუთხეში პატარა არაბული ციფრებითაა აღნიშნული. მაგ.:

pink |pɪŋk| *n* **1.** ბოტ. მიხაკი (*Dianthus gen.*)...

pink |pɪŋk| *n* ზღვ. ისტ. პინკი (მცირე ზომის გემი, უპირატ. თევზსაჭერი; აგრ. pinkie).

pink³ |pɪŋk| *n* ახალგაზრდა ორაგული (ზღვაში პირველად გასვლამდე).

pink⁴ **I** |pɪŋk| *n* ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობა.

pink⁴ **II** |pɪŋk| *v* **1.** 1) გაჩხვლეტა ('გა'ჩხვლეტს), გახვრეტა ...

pink⁵ |pɪŋk| *n* იშვ. მოყვითალო ან მომწვანო-ყვითელი პიგმენტი, ლაქი და ა.შ.

pink⁶ **I** |pɪŋk| *n* დეტონაცია, დეტონაციური კაკუნი (შიგაწვის ძრავაში).

pink⁶ **II** |pɪŋk| *v* **1.** დეტონაციით მუშაობა (მუშაობს), ② კაკუნობს (იოქმის შიგაწვის ძრავას შესახებ); **2.** დეტონაციის გამოწვევა ('გამო'იწვევს) იოქმის საწვავის შესახებ.

8. კონვერსია

კონვერსიით ნაწარმოები სიტყვები არის მსგავსი ლექსიკური მნიშვნელობის სიტყვები, რომლებიც სხვადასხვა მეტყველების ნაწილებს განეკუთვნებიან. ასეთი სიტყვებიც ლექსიკონში, ჩვეულებრივ, ცალ-ცალკე სიტყვა-სტატიებადაა წარმოდგენილი და რომაული ციფრებით აღინიშნება. მაგ.:

bay I [beɪ] *n* **1.** ყეფა; ...

bay II [beɪ] *v* **1.** ყეფა (ყეფს); ...

9. პოლისემია

ინგლისური სიტყვები დიდი პოლისემიურობით გამოირჩევა, ანუ ერთ სიტყვას რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული მნიშვნელობა აქვს. მაგ.:

plate I |pleit| *n* **1.** 1) თეფში; a dinner plate ფართო ბრტყელი თეფში (რომლიდანაც სადილის ძირითად კერძს მიირთმევენ); a soup plate ღრმა თეფში (ჩვეულ. წვნიანისათვის); porcelain plates ფაიფურის თეფშები; a fruit plate სახილე [შდრ. აგრ. 2)]; disposable plates ერთჯერადი თეფშები;

2) ერთი თეფში (ამა თუ იმ კერძისა და ა.შ.); რამდენსაც ერთი თეფში იტევს; a plate of sandwiches თეფში სანდვიჩებით, თეფშზე დაწყობილი სანდვიჩები; a fruit plate ხილის ასორტი (დესერტი) [შდრ. აგრ. 1)]; he ate three plates of spaghetti მან სამი თეფში სპაგეტი შეჭამა;

2. 1) ფილა, ფურცელი, ფირფიტა, ზოლი (ლითონისა); a one inch thick steel plate ერთი დუიმის სისქის ფოლადის ფურცელი; she had a metal plate inserted in her arm მას მკლავში მოტეხილი ძვლის საფიქსაციო ლითონის ფირფიტა აქვს ჩასმული;

2) სამხ. ჯავშანფურცელი, ჯავშანფილა (აგრ. armour plate) [იხ. აგრ. plate armour];

3. 1) ფირფიტა, ფირფიტის ფორმის საგანი; letter plate ფოსტის მისაღები ჭრილის დამხურავი ფირფიტა (კარზე); clutch plate ტექ. გადაბმულობის დისკო;

2) წარწერიანი ფირფიტა / დაფა (მაგ. მობინადრის / მომუშავეს გვართ; იხ. აგრ. nameplate); a brass plate beside the door read "please ring" კარის გვერდით გაკრულ თითბრის ფირფიტაზე ეწერა „გთხოვთ დარეკოთ ზარი“;

4. ჩანართი ილუსტრაცია (წიგნში);

5. ფირფიტოვანი ჩასასმელ-მოსახსნელი კბილის პროთეზი (აგრ. dental plate, denture);

6. ელექტრ. 1) ელექტროდი (აკუმულატორების ბატარეისა, კონდენსატორისა და ა.შ.);

2) ანოდი (ელექტრონული მილაკისა);

7. ზოოლ. 1) ქერცლი, ქიცვი (თევზებისა და ა.შ.);

2) ძვლოვანი ან რქოვანი ფირფიტა, ფარი (ჯავშნისა);

8. გეოლ. ტექტონიკური / ლითოსფერული ბაქანი, ფილა (დედამიწის ქერქის ვრცელი სტაბილური მუდმივად მოძრავი უბანი აქტიური სასაზღვრო ზონებით; აგრ. tectonic plate, lithospheric plate); the Pacific plate [the Eurasian plate] წყნარი ოკეანის [ევრაზიის] ბაქანი.

პოლისემია არ არის მხოლოდ ინგლისური ენისათვის დამახასიათებელი მოვლენა, პოლისემია ქართულ ენაშიც კარგადაა განვითარებული.

მაგ.: ხისტი

1. არადამთმობი, არადამყოლი; უკომპრომისო. ხისტი დამოკიდებულება. ხისტი ხასიათი. ხისტი მიდგომა. ხისტი პოზიცია. ხისტი ორთაბრძოლა. ხისტი ფეხბურთი.
2. მოუქნელი, მკაცრი. ხისტი პოლიტიკა. ხისტი კანონი. ხისტი ნორმები. ხისტი პოლიტიკოსი.
3. მაგარი, არადრეკადი; ულუნველი. ხისტი ღერო. ხისტი მოდელი. ხისტი ჯავშანფილა. ხისტი საბურავი. ხისტი ძარა. ხისტი სისტემა.
4. ხეშემი, ხმელი, ხამი. ხისტი ბუმბული. ხისტი წყალი.

პოლისემიური სიტყვის მნიშვნელობები თანაბარი ღირებულებისა არ არის. ყოველი პოლისემიური სიტყვის სტრუქტურაში გამოიყოფა "სემანტიკური ცენტრები", "მსხვილი" (ანუ ძირითადი) მნიშვნელობები, რომლებიც ლექსიკონში მუქი ციფრებითაა გამოყოფილი: **1.**, **2.** და ა.შ. მოცემული "სემანტიკური ცენტრები" რიგ შემთხვევაში შეიცავს ქვემნიშვნელობებს, რომლებიც ლექსიკონში ფრჩხილიანი არაბული ციფრებითაა დანომრილი: 1), 2), 3) ... მაშასადამე, პოლისემიური სიტყვის სალექსიკონო სტატიაში ორმაგი ნუმერაციაა: **1.** 1), 2), 3) ...

ფრაზეოლოგიური ერთეულის პოლისემიის შემთხვევები გამოყოფილია ქართული ანბანის ფრჩხილიანი ასოებით: ა), ბ), გ) ...

to set the pace ა) რაიმესთვის ტონის / ძირითადი მიმართულების მიცემა; the company is no longer setting the pace კომპანია აღარ ითვლება ტონის მიმცემად / ვეღარ ინარჩუნებს ლიდერის სტატუსს;

ბ) სპორტ. რბენის / რბოლის მონაწილეებისათვის გარკვეული ტემპის მიცემა;

გ) სპორტ. რბენის / რბოლის სათავეში ყოფნა, ლიდერობა.